**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის**

**ბრძანება №30**
**2022 წლის 8 ნოემბერი**

**ქ. ბათუმი**

**„კომპეტენციის, კვალიფიკაციის და სხვა სერტიფიკატის მიღებისა და მისი განახლებისათვის საჭირო გამოცდების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს – სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 7 ოქტომბრის №29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 აპრილის №1-1/585 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ – საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის 2022 წლის 7 ოქტომბრის №29 ბრძანებით დამტკიცებულ ,,კომპეტენციის, კვალიფიკაციის და სხვა სერტიფიკატის მიღებისა და მისი განახლებისათვის საჭირო გამოცდების ჩატარების წესში“:

**ა) წესის დანართი №21, დანართი №27 და დანართი №28 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

**მუხლი 2**

ბრძანება ამოქმედდეს 2022 წლის 10 ნოემბრიდან.

**სსიპ საზღვაო ტრანსპორტის**
**სააგენტოს დირექტორი** **თამარ იოსელიანი**